



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 191/ს  
11/07/2022

191-21-4-202207111010



**საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ იორმულანლოში, ი/მ „თოფიკ გუსეინოვი ჭრაქის“  
ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) ექსპლუატაციაზე სკრინინგის  
გადაწყვეტილების შესახებ**

ი/მ „თოფიკ გუსეინოვი ჭრაქის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. იორმულანლოში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა უკვე მოწყობილია და ობიექტი ექსპლუატაციაშია 2019 წლიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული წარმოების მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაგზავნილ იქნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგური განთავსებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. იორმულანლოში, ფ/პ თოფიკ გუსეინოვის საკუთრებაში არსებულ 1 790 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 55.22.51.000.492). საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-544508.03, Y-4605982.72; X-544519.13, Y-4606013.86; X-544564.07, Y-4605992.42; X-544552.01, Y-4605956.16. ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 35 მეტრით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. მტკვარი, მიედინება საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 650 მეტრში. ავტოგასამართი სადგურის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 830 მეტრში მდებარეობს „ყორულის აკვეთილი“.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები: საოპერატორო შენობა, საწვავმარირებელი

სვეტების ფარდული (ორი მარიგებელი სვეტით), ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, მეხამრიდი და სალექარი. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია ბენზინის და დიზელის საწვავის შესანახი 2 ცალი რეზერვუარი (თითოეული - 12,5 მ<sup>3</sup>), რომელთა ჯამური მოცულობა შეადგენს 25 მ<sup>3</sup>-ს. რეზერვუარები განთავსებულია მიწის ქვეშ, ბეტონის სარკოფაგში, დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებებით და აღჭურვილია სასუნთქი სარქველებით (სიმაღლე - 3,5 მ, დიამეტრი - 0,05 მ). რეზერვუარებიდან ნავთობპროდუქტები, მილსადენების მეშვეობით, მიეწოდება საწვავმარიგებელ სვეტებს, საიდანაც ხდება საწვავის მომხმარებელზე გაცემა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართ სადგურზე წლიურად ხორციელდება 365 მ<sup>3</sup> ბენზინის და 365 მ<sup>3</sup> დიზელის საწვავის რეალიზაცია. ობიექტის სამუშაო რეჟიმი შეადგენს წელიწადში 365 დღეს, დღე-ღამეში 24 საათს და დასაქმებულია 2 ადამიანი. ავტოგასამართი სადგურის ნავთობპროდუქტებით მომარაგება ხორციელდება ავტოცისტერნებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტის ექსპლუატაციისას წყლის მოხმარება ხდება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, რისთვისაც წყალაღება ხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელიდან. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდება ბეტონის ამოსაწმენდ ორმოში, რომელიც პერიოდულად იცლება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ობიექტის ტერიტორიაზე ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტები, შემკრები არხების მეშვეობით, გროვდება საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილ მიწისქვეშა სალექარში. ნავთობპროდუქტების გაცემის უბანზე არსებული გადახურვის გათვალისწინებით, სანიაღვრე წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურება არ ხდება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ობიექტის ექსპლუატაციისას წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები, რომლებიც გროვდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანა უზრუნველყოფილია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები (მათ შორის სალექარში დაგროვილი ნარჩენი), შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი აქვს მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. ობიექტის მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობა ფიქსირდება ავტოცისტერნიდან ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართვისას. ავტოგასამართი სადგურიდან წლის განმავლობაში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა უმნიშვნელოა და არ აჭარბებს კანონით დადგენილ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარები

განთავსებულია მიწის ქვეშ, რაც ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა. შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკს, ასევე, ზღუდავს გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების საფრთხეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაფრქვევები ლოკალიზებულია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და იშვიათად სცილდება ობიექტის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია არ უკავშირდება ხმაურის წარმომქმნელი დანადგარების გამოყენებას, შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირების შედეგად, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ხმაურის გავრცელების დასაშვები დონეების გადაჭარბებას ადგილი არ აქვს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ავტოგასამართი სადგური მოწყობილია ანთროპოგენურად სახეცვლილ, მობეტონებულ ტერიტორიაზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. საქმიანობის ფარგლებში დამატებითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელება გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ანალოგიური პროფილის ობიექტ(ებ)ი არ ფუნქციონირებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიხედვით, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა, რომელიც ავტოგასამართი სადგურების შემთხვევაში, წარმოადგენს მხოლოდ საწვავის რეალიზაციასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ნაწილს.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის ადგილმდებარეობის, მასშტაბის, სპეციფიკისა და საპროექტო პარამეტრების გათვალისწინებით, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. იორმულანლოში, ი/მ „თოფიკ გუსეინოვი ჭრაქის“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ი/მ „თოფიკ გუსეინოვი ჭრაქი“ ვალდებულია, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ი/მ „თოფიკ გუსეინოვი ჭრაქს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ი/მ „თოფიკ გუსეინოვი ჭრაქის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო